



Electrolux




electrolux.com/register



E52SE100SW

მონტაჟი / ИНСТАЛИРАЊЕ



ექვემდებარება შეცვლას წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

1. უსაფრთხოების ინფორმაცია.....	2	9. ყოველდღიური გამოყენება.....	16
2. უსაფრთხოების ინსტრუქციები.....	5	10. მინიშნებები და რჩევები.....	17
3. პროდუქტის აღწერა.....	6	11. მოვლა და დასუფთავება.....	19
4. კონტროლის პანელი.....	7	12. პრობლემის აღმოფხვრა.....	21
5. პროგრამები და ოპციები.....	7	13. ტექნიკური მონაცემები	24
6. პარამეტრები.....	9	14. გარემოსდაცვითი საკითხები.....	25
7. პირველად გამოყენებამდე.....	11		
8. ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ჭურჭლის მოთავსება.....	13		

1. ⚠ უსაფრთხოების ინფორმაცია

მოწყობილობის დამონტაჟებამდე და გამოყენებამდე, ყურადღებით წაიკითხეთ მოწოდებული ინსტრუქციები. მწარმოებელი პასუხისმგებელი არ არის არასწორი მონტაჟის ან

მომხმარებლის შედეგად მიყენებულ რაიმე ფიზიკურ ზიანზე ან ზარალზე. ყოველთვის იქონიეთ ინსტრუქციები უსაფრთხო და ხელმისაწვდომ ადგილზე სამომავლო გამოყენებისთვის.

1.1 ბავშვებისა და დაუცველი ადამიანების უსაფრთხოება

- ამ მოწყობილობის გამოყენება შეუძლიათ ბავშვებს 8 წლის ასაკიდან და შეზღუდული ფიზიკური, გრძნობითი ან მენტალური შესაძლებლობის მქონე ან გამოუცდელ პიროვნებებს, თუ მათ მიეცემათ მითითებები მოწყობილობის გამოყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხო გზით და გაიაზრებენ დაკავშირებულ საფრთხეებს. 8 წლამდე ასაკის ბავშვები და მნიშვნელოვნად უნარშეზღუდული პირები უნდა მოერიდონ მოწყობილობასთან სიახლოვეს ან გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ.
- ბავშვები უნდა იყვნენ ზედამხედველობის ქვეშ, რათა არ ითამაშონ მოწყობილობით.
- იქონიეთ სარეცხი საშუალება ბავშვებისგან მოშორებით.

- მოაშორეთ ბავშვები და შინაური ცხოველები მოწყობილობას, როცა კარი ღიაა.
- ბავშვებმა არ უნდა დაასუფთაონ და მოიხმარონ მოწყობილობა უფროსების ზედამხედველობის გარეშე.

1.2 ზოგადი უსაფრთხოება

- ეს მოწყობილობა განკუთვნილია მხოლოდ საყოფაცხოვრებო ტიპის ჭურჭლისა და სამაგიდო აღჭურვილობის გასაწმენდად.
- ეს მოწყობილობა განკუთვნილია ერთი ოჯახის მიერ შინ გამოსაყენებლად დახურულ სივრცეში.
- ეს მოწყობილობა შეიძლება გამოიყენებოდეს ოფისებში, სასტუმროს ნომრებში, B&B-ს ნომრებში, საოჯახო ფერმის ტიპის სასტუმროებსა და სხვა მსგავს საცხოვრებლებში, სადაც ასეთი გამოყენება არ სცდება (საშუალო) საყოფაცხოვრებო მოხმარების დონეებს.

- არ შეცვალოთ ამ მოწყობილობის სპეციფიკაცია.
- წყლის სამუშაო წნევა (მინიმუმი და მაქსიმუმი) 0.05 (0.5) / 1 (10) მპა-ს (ბარის) დიაპაზონში უნდა იყოს.
- მიჰყევით მაქსიმალური ოდენობის 13 ადგილის პარამეტრებს.
- წაბორძიკების საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მოწყობილობის კარი ღია მდგომარეობაში არ უნდა დარჩეს.
- თუ კვების სადენი დაზიანებულია, მისი შეცვლა უნდა მოხდეს მწარმოებლის, მისი ავტორიზებული სერვის ცენტრის ან მსგავსი კვალიფიკაციის მქონე პირების მიერ, რათა თავიდან იქნას აცილებული ელექტრობასთან დაკავშირებული საფრთხე.
- გაფრთხილება: დანები და სხვა ბასრპირიანი

- ჭურჭელი კალათში წვერით დაბლა ან ჰორიზონტალურ პოზიციაში უნდა მოთავსდეს.
- ნებისმიერი მოვლის ოპერაციამდე, გათშეთ მოწყობილობა და გამორთეთ შტეფსელი როზეტიდან.
- არ გამოიყენოთ მაღალი წნევის წყლის სპრეი და/ან ორთქლი მოწყობილობის გასაწმენდად.
- თუ მოწყობილობის სავენტილაციო ხვრელები მის ფსკერზეა განლაგებული, იგი არ უნდა დაფაროთ, მაგალითად, ხალიჩით.
- მოწყობილობა წყლის ქსელთან ახლად მოწოდებული მილების კომპლექტების საშუალებით უნდა დაკავშირდეს. ძველი შლანგები არ უნდა იქნას ხელახლა გამოყენებული.

2. უსაფრთხოების ინსტრუქციები

2.1 მონტაჟი

⚠ გარფთხილება!

ეს მოწყობილობა მხოლოდ კვალიფიცირებულმა სპეციალისტმა უნდა დააყენოს.

- მოხსენით ყველა შეფუთვა.
- არ დაამონტაჟოთ და არ გამოიყენოთ დაზიანებული მოწყობილობა.
- დაიცავით მოწოდებული მონტაჟის ინსტრუქცია.
- გამოიჩინეთ სიფრთხილე მოწყობილობის გადატანისას, რადგან მძიმეა. გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანები და თანდართული ფეხსაცმელი.
- არ დაამონტაჟოთ მოწყობილობა 0°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე.
- დაამონტაჟეთ მოწყობილობა უსაფრთხო და შესაფერის ადგილზე, რომელიც აკმაყოფილებს ინსტალაციის მოთხოვნებს.

2.2 ელექტრო კავშირი

⚠ გარფთხილება!

ხანძრისა და დენის დარტყმის რისკი.

- გაფრთხილება: აღნიშნული მოწყობილობა შექმნილია რათა დამონტაჟდეს / დაუკავშირდეს შენობის დამიწების კავშირებს.
- დარწმუნდით, რომ ქარხნული ჰასპორტის ჰარამეტრები თავსებადია ელექტროქსელის კვებასთან.
- ყოველთვის გამოიყენეთ სწორად დაყენებული დარტყმაგამძლე ბუდე.
- არ გამოიყენოთ მარავალშესაერთებლიანი გადაყვანები და დამაგრებლებლები.
- მოერიდეთ კვების შტეფსელისა და კვების კაბელის დაზიანებას. თუ საჭიროა მათი გამოცვლა, დაუკავშირდით ჩვენს ავტორიზებულ სერვის ცენტრს.
- შტეფსელი როზეტთან შეაერთეთ მხოლოდ დამონტაჟების ბოლოს და უზრუნველყავით, რომ შტეფსელი მისაწვდომი იყოს.
- არ მოქაჩოთ კაბელი მოწყობილობის გამოსართავად. ყოველთვის მოქაჩეთ შტეფსელით.

2.3 წყლის დაკავშირება

- არ გააფუჭოთ წყლის შლანგები.
- ახალ და ისეთ მილებთან მიერთებამდე, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში არ გამოიყენებოდა, რემონტის ან ახალი მოწყობილობების (მაგ. წყლის მთვლელების) დამონტაჟების შემდეგ გაუშვით წყალი სუფთა წყლის წამოსვლამდე.
- შეამოწმეთ წყლის გაჟონვაზე პირველი გამოყენებისას ან მის შემდეგ.
- წყლის შემშვები შლანგის დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაკეტეთ ონკანი და გამოაერთეთ ელექტროჩანგალი შტეფსელიდან. წყლის შემშვები შლანგის გამოსაცვლელად დაუკავშირდით ავტორიზებულ სერვისცენტრს.

2.4 გამოყენება

- მოწყობილობას მთავრად ადვილად აალებადი პროდუქტები ან ადვილად დასველებული ნივთები.
- ჭურჭლის სარეცხი მანქანის სარეცხი საშუალებები სემიფია. მიჰყევით სარეცხი საშუალების შეფუთვაზე არსებულ უსაფრთხოების ინსტრუქციებს.
- ნუ დაღვეთ ან ითამაშებთ მოწყობილობაში არსებული წყლით.
- დაელოდეთ პროგრამის დასრულებას ჭურჭლის ამოღებამდე, რადგან ჭურჭელზე შეიძლება დარჩენილი იყოს სარეცხი საშუალება.
- მოწყობილობაში ნუ შეინახავთ საგნებს ან ძალის გამოყენებით დააწვებით მის გახსნილ კარს.
- პროგრამის მუშაობის განმავლობაში მოწყობილობის კარის გახსნის შემთხვევაში, შესაძლოა ცხელი ორთქლი გამოიყოს.

2.5 სერვისი

- მოწყობილობის შესაკეთებლად დაუკავშირდით ავტორიზებულ სერვის ცენტრს. გამოიყენეთ მხოლოდ ორიგინალი სათადარიგო ნაწილები.
- საკუთარი ძალებით ან არაპროფესიულმა შეკეთებამ შესაძლოა, გამოიწვიოს საფრთხე ან გარანტიის მოქმედების გაუქმება.
- მოდელის წარმოების შეწყვეტიდან სულ მცირე 7 წლის განმავლობაში

შემდეგი სათადარიგო ნაწილებია ხელმისაწვდომი: ძრავი, ცირკულაციისა და დრენაჟის ტუმბო, გამათბობელი და გამათბობელი ელემენტები, მათ შორის გამათბობელი ტუმბოები, მილები და შესაბამისი აღჭურვილობა, მათ შორის შლანგები, სარქველები, ფილტრები და წყლის შემაკაველები, კარის აწყობისთვის საჭირო სტრუქტურული და შიდა ნაწილები, ნაბეჭდი პლატები, ელექტრონული ეკრანები, წნევის გადამრთველები, თერმოსტატები და სენსორები, პროგრამული და ჩამენებული პროგრამული უზრუნველყოფები, მათ შორის, პარამეტრების ჩამოყრის პროგრამა. მოდელის წარმოების შეწყვეტიდან სულ მცირე 10 წლის განმავლობაში შემდეგი სათადარიგო ნაწილებია ხელმისაწვდომი: კარის ანჯამები და მამჭიდროებლები, სხვა მამჭიდროებლები, სასხურებელი მკლავები, დრენაჟის ფილტრები, შიდა თაროები და პლასტმასის მაკომპლექტბელი ნაწილები, როგორცაა კალათები და თავსახურები. თქვენს ქვეყანაში ეს პერიოდი შეიძლება უფრო ხანგრძლივი იყოს. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებ-საიტს.

- ზოგიერთი სათადარიგო ნაწილი ხელმისაწვდომია მხოლოდ

პროფესიონალი შემკეთებლებისთვის და შესაძლოა, არ იყოს მოდელის შესაფერისი.

- პროდუქტში არსებული ნათურა(ები) და სათადარიგო ნათურის ნაწილები დამოუკიდებლად უნდა შეიძინოთ: ეს ნათურები განკუთვნილია ექსტრემალური ფიზიკური პირობებისათვის საყოფაცხოვრებო დანადგარებში, როგორც არის ტემპერატურა, ვიბრაცია, ტენიანობა და ასევე იღებენ სასიგნალო ინფორმაციას დანადგარის საოპერაციო სტატუსის შესახებ. ისინი არ არის განკუთვნილი სხვა დანადგარებში გამოყენებისათვის და საყოფაცხოვრებო ოთახების გასანათებლად.


2.6 განკარგვა

⚠ გარფთხილება!

დაზიანებისა ან დაზუთვის რისკი.

- გამორთეთ მოწყობილობა დენის მთავარი წყაროდან.
- მოჭერით კვების კაბელი და გადაადგეთ.
- მოხსენით კარის დამჭერი, ბავშვები და შინაური ცხოველები მოწყობილობაში რომ არ ჩაიკეტონ.

3. პროდუქტის აღწერა



1 სამუშაო მაგიდა

2 ზედა სასხურებელი მკლავი


3 ქვედა სასხურებელი მკლავი

4 ფილტრები

- 5 ქარხნული პასპორტი
- 6 მარილის კონტეინერი
- 7 ჰაერის ვენტილაცია
- 8 გავლების საშუალების დისპენსერი
- 9 სარეცხი საშუალების დისპენსერი


- 10 დანა-ჩანგლების და კოვზების კალათი
- 11 ქვედა კალათი
- 12 ზედა კალათი


4. კონტროლის პანელი





- 1 პროგრამის არჩევის ღილაკი
- 2 პროგრამის ინდიკატორები
- 3 დისპლეი
- 4 პროგრამის პარამეტრების ღილაკი / დაგვიანებული დაწყების ღილაკი
- 5 დაწყების ღილაკი
- 6 ინდიკატორები
- 7 ჩართვის/გამორთვის ღილაკი

4.1 ინდიკატორები

 მარილის ინდიკატორი ირთვება მაშინ, როდესაც საჭიროა მარილის კონტეინერის შევსება. იხილეთ თავი „პირველად გამოყენებამდე“.

 გავლების ინდიკატორი ირთვება მაშინ, როდესაც საჭიროა გავლების საშუალების დისპენსერის შევსება. იხილეთ თავი „პირველად გამოყენებამდე“.

 დაყოვნების ინდიკატორი ირთვება დაყოვნებული ჩართვის პარამეტრის დაყენებისას. იხილეთ თავი „ყოველდღიური გამოყენება“.

 პროგრამის ვარიანტების ინდიკატორები. როდესაც ვარიანტს გაააქტიურებთ, შესაბამისი ინდიკატორი აინთება. იხილეთ თავი „პროგრამები და ოპციები“.

5. პროგრამები და ოპციები

5.1 პროგრამების მიმოხილვა

ECO

ეს პროგრამა ზომიერად დაბინძურებული თიხის ჭურჭლისთვის, დანა-ჩანგლებისთვის, კოვზებისთვის, ქვაბებისა და ტაფებისთვის წყლისა და ენერჯის მონმარების ყველაზე ეფექტიან გამოყენებას გთავაზობთ. ფაზები: წინასწარი რეცხვა, ჭურჭლის რეცხვა 50°C-ზე, შუალედური გავლება, საბოლოო გავლება 55°C-ზე, გამშობა, AirDry. აღნიშნული წარმოადგენს სტანდარტულ

პროგრამას საგამოცდო ინსტიტუტებისთვის. ეს პროგრამა ეკოდიზაინის მარეგულირებელი კომისიის (EU) 2019/2022 რეგულაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებლად გამოიყენება.

120min

საშუალო, ოდნავ შემწრალი დაბინძურების მქონე თიხის ჭურჭლისთვის, დანა-ჩანგლებისთვის, კოვზებისთვის, ქვაბებისა და ტაფებისთვის. ფაზები: ჭურჭლის რეცხვა

65°C-ზე, შუალედური გავლება, საბოლოო გავლება 50°C-ზე, გაშრობა, AirDry.

90min

საშუალო, ოდნავ შემშრალი დაბინძურების მქონე თიხის ჭურჭლისთვის, დანა-ჩანგლებისა და კოვზებისთვის. ფაზები: ჭურჭლის რეცხვა 65°C-ზე, შუალედური გავლება, საბოლოო გავლება 55°C-ზე, გაშრობა, AirDry.

60min

ახალი, მცირედ შემშრალი დაბინძურების მქონე თიხის ჭურჭლისთვის, დანა-ჩანგლებისა და კოვზებისთვის. ფაზები: ჭურჭლის რეცხვა 65°C-ზე, შუალედური გავლება, საბოლოო გავლება 60°C-ზე, გაშრობა, AirDry.

30min

ახლად დაბინძურებული თიხის ჭურჭლისთვის, დანა-ჩანგლებისა და კოვზებისთვის. ფაზები: ჭურჭლის რეცხვა 60°C-ზე, გავლება 50°C-ზე, AirDry. პროგრამა არ მოიცავს გაშრობის ფაზას და გავლების დამხმარე საშუალების გაშვებას. ნივთებიანი ჭურჭლის მანქანის კარი ღია დატოვით ჰაერზე გასაშრობად.

AUTO

ნებისმიერი ხარისხის თიხის ჭურჭლისთვის, დანა-ჩანგლებისთვის, კოვზებისთვის, ქვაბებისა და ტაფებისთვის. ფაზები: წინასწარი რეცხვა, ჭურჭლის რეცხვა 60°C-ზე, შუალედური გავლება, საბოლოო გავლება 60°C-ზე, გაშრობა, AirDry, ამ ჰქვიან ციკლს გააჩნია მგრძობელობა ტვირთის ზომისა და დაბინძურების დონის მიმართ. ეს ავტომატურად არეგულირებს ჭურჭლის რეცხვის ტემპერატურას, ხანგრძლივობას და წყლის ხარისხს ოპტიმალური რეცხვისა და შრობის შედეგების მისაღებად.

5.2 სპეციალური პროგრამები

Rinse&Hold

პროგრამა განაახლებს ჭურჭელს, რომელიც შეიძლება მოგვიანებით გაირეცხოს. ამ პროგრამასთან კომბინაციაში ნუ გამოიყენებთ სარეცხ საშუალებას.

MachineClean

პროგრამა ასუფთავებს მოწყობილობის შიდა ნაწილს 65°C-ზე, ეფექტურად აშორებს დაგროვებულ კირის ნადებს და

ცხიმს ხანგრძლივი, ეფექტური მუშაობისთვის. გამოიყენეთ მინადულის მოსაცილებელი ან საწმენდი პროდუქტი, რომელიც განკუთვნილია სპეციალურად ჭურჭლის სარეცხი მანქანისთვის. მიჰყევით შეფუთვაზე მითითებულ ინსტრუქციას. არ ჩააწყობთ ჭურჭელი კალთებში. სანამ დაიწყებთ პროგრამას, გაწმინდეთ ფილტრები და სასხურებელი ბერკეტები.

5.3 პროგრამის ვარიანტები

PowerBoost

ეს ვარიანტი ზრდის დასუფთავების ეფექტურობას პროგრამის ხანგრძლივობის განხანგრძლივებით, რაც იწვევს ჭურჭლის რეცხვის საშუალო ტემპერატურის ზრდას. ეს ვარიანტი გათვალისწინებულია ძნელად გასარეცხი დაბინძურებული ჭურჭლისთვის. შეეხება 120min, 90min 60min 30min პროგრამებს.

GlassCare

ამ ვარიანტის არჩევას ტემპერატურის სწრაფი ცვლილებების თავიდან აცილებით, დაცულია დელიკატური, განსაკუთრებით მინის ჭურჭელი. ეს ვარიანტი ჭურჭლის სარეცხი ტემპერატურას ზრდას 45 °C-მდე ფრთხილი მაგრამ ეფექტური რეცხვის უზრუნველსაყოფად. შეეხება 120min, 90min, 60min, 30min პროგრამებს.

ExtraHygiene

ეს ვარიანტი უზრუნველყოფს უკეთეს შედეგებს ჰიგიენის კუთხით, რადგან საბოლოო წყლის გავლების ფაზაში მინიმუმ 10 წუთით ინარჩუნებს 65 °C-ზე მეტ ტემპერატურას. ეს პროგრამა ამორებს ბაქტერიებისა და ვირუსების 99,9999%-ზე მეტს. ტესტირებულია Micrococcus luteus-სა და MS2 ბაქტერიოფაგზე კომპანიის Swissatest Testmaterialien AG მიერ (ტესტირების ანგარიშის # 20212029). შეეხება 120min, 90min, 60min, 30min პროგრამებს.

5.4 მოხმარების მნიშვნელობები

A - პროგრამა, **B** - წყალი (ლ), **C** - ენერჯია (კვტ/სთ), **D** - ხანგრძლივობა (წთ).

A	B	C	D
ECO	9.9	0.936	240
120min	11.5	0.900	120
90min	11.5	0.975	90

A	B	C	D
60min	11.5	1.025	60
30min	9.0	0.600	30
AUTO	11.5	1.125	170
	4.5	0.025	15
	10.0	0.500	60

წყლის წნევასა და ტემპერატურას, ელექტროენერგიის მიწოდების ცვალებადობას, პარამეტრებს, ჭურჭლის ოდენობას და დაბინძურების ხარისხს შეუძლია მნიშვნელობების შეცვლა.

პროგრამის ECO -სგან განსხვავებული მნიშვნელობები, მხოლოდ მითითებითი ხასიათისაა.

5.5 ინფორმაცია შედარებითი ტესტებისთვის

შესრულების ტესტების ჩასატარებლად საჭირო ინფორმაციის მისაღებად (მაგ.: EN60436 -ების შესაბამისად), გააგზავნეთ ელფოსტა შემდეგ მისამართზე:

info.test@dishwasher-production.com

თქვენს თხოვნაში შეფასების ფირფიტაზე მოცემული პროდუქტის ნომრის კოდი (PNC) მიუთითეთ.

თქვენი ჭურჭლის სარეცხი მანქანის შესახებ ნებისმიერი სხვა კითხვის არსებობის შემთხვევაში, მომსახურების სახელმძღვანელო იხილეთ, რომელიც მოჰყვება თქვენს მოწყობილობას.

6. პარამეტრები

6.1 პარამეტრების მიმოხილვა

ფრჩხილებში ჩასმული სახელები შეესაბამება ჭურჭლის სარეცხი მანქანის მიერ პარამეტრების რეჟიმში პარამეტრების ჩვენების წესს.

წყლის სიხისტე (HAR)

დაარეგულირეთ წყლის დამარბილებლის დონე (1-10) წყლის სიხისტის მიხედვით. ნაგულისხმევი: 5.¹⁾

შეტყობინება წყლის გავლების დამხმარე საშუალების დაცვის შესახებ (rA)

მოახდინეთ წყლის გავლების დამხმარე საშუალების მაჩვენებლის აქტივაცია ან დეაქტივაცია. ნაგულისხმევი: On¹⁾

კარის ავტომატურად გაღება (Ado)

აირჩიეთ On იმისთვის, რომ ჩართოთ ან Off იმისთვის, რომ გამოართოთ AirDry ფუნქცია. ნაგულისხმევი: On.¹⁾

ციკლების მრიცხველი (uC)

შეამოწმეთ ჭურჭლის რეცხვის დასრულებული ციკლების რაოდენობა. მთვლელი ჩერდება 65535-ზე.

PNC ნომერი (Pnc)

შეამოწმეთ თქვენი მოწყობილობის PNC ნომერი. მიუთითეთ ნომერი როდესაც მიმართავთ ავტორიზებულ სერვის ცენტრს.

პარამეტრების გადატირთვა (rS)

აირჩიეთ Yes მოწყობილობის ქარხნულ პარამეტრებზე გადასაყენებლად. პარამეტრი არ შეცვლის გამოყენების საათებს. აირჩიეთ No გასასვლელად.

6.2 დაყენების რეჟიმი

როგორ უნდა შევიდეთ მომხმარებლის რეჟიმში

დაყენების რეჟიმში შეგიძლიათ შეხვიდეთ პროგრამის დაწყებამდე. დაყენების რეჟიმში ვერ შეხვალთ, როცა პროგრამა ჩართულია.

ერთდროულად დააჭირეთ ღილაკებს და 3 წამის განმავლობაში.

დისპლეი აჩვენებს პირველ პარამეტრს: HAR.

პარამეტრის შეცვლის წესი

დარწმუნდით, რომ მოწყობილობა პარამეტრების დაყენების რეჟიმშია.

1. დააჭირეთ -ს ან -ს პარამეტრების გადართვისთვის.

დისპლეიზე აისახება პარამეტრის დასახელება.

2. დააჭირეთ -ს პარამეტრის შესაყვანად.

¹⁾ დამატებითი დეტალები იხილეთ მოცემულ თავში.

მიმდინარე პარამეტრის მნიშვნელობა ციფრით.

3. მნიშვნელობის შესაცვლელად დააჭირეთ **P**-ს ან **1**-ს.

4. დააჭირეთ ღილაკზე **▷** პარამეტრის დასადასტურებლად.

მოწყობილობა უბრუნდება პარამეტრების სასა.

5. დაყენების რეჟიმიდან რომ გახვიდეთ, ერთდროულად დააჭირეთ **1**-სა და **▷**-ს დაახლოებით 3 წამის განმავლობაში.

მოწყობილობა უბრუნდება პროგრამის არჩევას.

შენახული პარამეტრები მოქმედი რჩება, სანამ მათ ხელახლა არ შეცვლით.

i მოწყობილობა პარამეტრების დაყენების რეჟიმიდან გამოვა თუ 10 წამის განმავლობაში არცერთ ღილაკს არ დააჭერთ.

6.3 წყლის დამარბილებელი

წყლის დამარბილებელი მოწოდებულ წყალს აცლის მინერალებს, რომლებსაც შეიძლება უარყოფითი ეფექტი ჰქონდეს რეცხვის შედეგებსა და მოწყობილობაზე.

რაც უფრო მაღალია ამ მინერალების შემცველობა, მით უფრო ხისტია წყალი. წყლის სიხისტე შესაბამისი სკალებით იზომება.

წყლის დამარბილებლის დონე უნდა დარეგულირდეს თქვენი წყლის სიხისტის შესაბამისად. რეცხვის მაქსიმალურად ეფექტურობის უზრუნველყოფისთვის და მართლის ინდიკატორის გამართულად მუშაობისთვის აუცილებელია დამარბილებლის დონის სწორად მითითება, მიუხედავად გამოყენებული სარეცხი საშუალების ტიპისა.

ადგილობრივ წყალმომარაგების უწყებას

შეუძლია მოგაწოდოთ ინფორმაცია თქვენს რაიონში წყლის სიხისტესთან დაკავშირებით. ქარხნული პარამეტრებით არჩეული დონეა 5.

i დამარბილებელი აგენტის შემცველ მულტიტაბლეტებს წყლის დარბილების შეზღუდული ეფექტურობა აქვთ. იხილეთ პროდუქტის შეფუთვა.

წყლის სიხისტე

°dH	°fH	მმოლ/ლ	მგ/ლ (ნაწ/მლნ)	°Clark	L ¹⁾
47 -50	84 -90	8.4 -9.0	835 -904	58 -63	10
43 -46	76 -83	7.6 -8.3	755 -834	53 -57	9
37 -42	65 -75	6.5 -7.5	645 -754	46 -52	8
29 -36	51 -64	5.1 -6.4	505 -644	36 -45	7
23 -28	40 -50	4.0 -5.0	395 -504	28 -35	6
19 -22	33 -39	3.3 -3.9	325 -394	23 -27	5
15 -18	26 -32	2.6 -3.2	255 -324	18 -22	4
11 -14	19 -25	1.9 -2.5	185 -254	13 -17	3
4 -10	7 -18	0.7 -1.8	70 -184	5 -12	2
<4	<7	<0.7	<70	< 5	1

1) წყლის დამარბილებლის დონე

წყლის დამარბილებელი გადის ავტომატური რეგენერაციის პროცესს. 2)

2) წყლის დამარბილებლის სწორი გამოყენებისთვის, დამარბილებელი მოწყობილობის პოლიმერი რეგულარულად უნდა აღდგეს. ეს პროცესი ავტომატურია და ჭურჭლის სარეცხი მანქანის ჩვეულებრივ მუშაობის ნაწილია. რეგენერაციის სიხშირე დამოკიდებულია წყლის დამარბილებლის დონის პარამეტრზე. რაც უფრო მაღალია დონე, მით უფრო ხშირად ხდება რეგენერაცია. მაღალი დონეების არჩევის შემთხვევაში, რეგენერაცია რეცხვის ციკლის მიმდინარეობისას ორჯერ ხდება: რეცხვის ეტაპზე და ბოლო გავლეხის შემდეგ. დაბალი დონის არჩევის შემთხვევაში, რეგენერაცია მხოლოდ ბოლო გავლეხის შემდეგ ხდება. დამარბილებლით გავლება ხდება შემდგომი ციკლის დასაწყისში. მაღალი დონის არჩევის შემთხვევაში, ეს პროცესი დამატებით მიმდინარეობს ჭურჭლის რეცხვის ეტაპის დასრულების შემდეგ. დამარბილებლის გავლება სრულდება სრული დრენაჟით. რეგენერაცია ზრდის პროგრამის ხანგრძლივობას მაქსიმუმ 5 წთ-ით, წყლის მოხმარებას მაქსიმუმ 4 ლ-ით ელექტროენერგიის მიხმარებას 2 ვტ/სთ-ით. ამჟამად მოქმედი სტანდარტების ლაბორატორიულ პირობებში, სადაც წყლის სიხისტე არის 2,5 მმოლ/ლ წყლის დამარბილებლის დონე: 3). რეგენერაცია მოხდება ყოველი 62 ლ წყლის გამოყენების შემდეგ. წყლის ტემპერატურის, წყლის წნევისა და ელექტრომიწოდების ვარიაციების მნიშვნელობები შესაძლოა შეიცვალოს.

6.4 სავლები საშუალების დაცარიელების შეტყობინება


სავლები საშუალება ჭურჭლის ზოლებისა და ლაქების გარეშე გაშრობას უწყობს ხელს. იგი საბოლოო გავლების განმავლობაში ავტომატურად გამოთავისუფლდება.

როდესაც სავლები საშუალების კამერა ცარიელია, ჩაირთვება სავლები საშუალების ინდიკატორი. თუ შრობის შედეგები დამაკმაყოფილებელია მხოლოდ მულტი ტაბლეტების გამოყენების დროს, სავლები საშუალების შევსების შეტყობინება შეგიძლიათ გამორთოთ. თუმცა, შრობის საუკეთესო შესრულებისთვის, ყოველთვის გამოიყენეთ სავლები საშუალება.

თუ სტანდარტული სარეცხი საშუალება ან მულტი-ტაბლეტები სავლები საშუალების გარეშე გამოიყენება, გააქტიურეთ შეტყობინება, რათა სავლები საშუალების შევსების ინდიკატორი კვლავ აქტიური დარჩეს.

6.5 AirDry

AirDry შრობის შედეგებს ენერჯის ნაკლები მოხმარებით აუმჯობესებს. მოწყობილობის კარი ავტომატურად იღება გაშრობის ფაზაში და შეღებული რჩება. ამ ფუნქციის გათიშვამ შეიძლება შეამციროს გაშრობის ეფექტურობა.

AirDry ავტომატურად აქტიურდება ყველა პროგრამის შემთხვევაში -ის გარდა. როდესაც კარი იღება, ეკრანზე მიმდინარე პროგრამის დარჩენილი დრო აისახება.

შრობის ფაზისა და კარის გაღების დროის ხანგრძლივობა დამოკიდებულია შერჩეულ პროგრამასა და პარამეტრებზე.

სიფრთხილე!

ნუ ეცდებით მოწყობილობის კარის დახურვას ავტომატური გაღებიდან 2 წუთის განმავლობაში. ამან, შესაძლოა, მოწყობილობის დაზიანება გამოიწვიოს.

7. პირველად გამოყენებამდე

1. ხანგრძლივად დააჭირეთ ჩართვის/ გამორთვის ღილაკს მოწყობილობის ჩართვამდე.
2. დაარეგულირეთ წყლის დამარბილებლის დონე წყლის სიხისტის მიხედვით.
3. შეავსეთ მარილის კონტეინერი.
4. შეავსეთ გავლების საშუალების დისპენსერი.
5. შეავსეთ სარეცხი საშუალების დისპენსერი.
6. მოუშვით წყლის ონკანი.
7. ჩართეთ 30min პროგრამა წარმოების პროცესიდან ნარჩენების მოსაცილებლად. არ ჩააწყით ჭურჭელი კალათებში.

პროგრამის დაწყების შემდეგ, მოწყობილობა წყლის დამარბილებელში პოლიმერს განაახლებს და ეს პროცესი დაახლოებით 5 წუთამდე გაგრძელდება. რეცხვის ფაზა დაიწყება მხოლოდ აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ. ეს პროცედურა პერიოდულად განმეორდება.

7.1 მარილის კონტეინერი


სიფრთხილე!

გამოიყენეთ მხოლოდ ჭურჭლის სარეცხი მანქანებისათვის განკუთვნილი რეგენერაციის მარილი. ნუ გამოიყენებთ სუფრის მარილს.


მარილი გამოიყენება წყლის დამარბილებელში პოლიმერების ხელახლა დასამუხტად და ყოველდღიური გამოყენების დროს რეცხვის კარგი შედეგების უზრუნველსაყოფად.

მარილის კონტეინერის ავსების წესი

1. შეატრიალეთ მარილის კონტეინერის ხუფი საათის საწინააღმდეგ მიმართულებით და მოხსენით.
2. ჩაასხით 1 ლ წყალი მარილის კონტეინერში (შეავსეთ მხოლოდ პირველ ჯერზე).
3. მოწოდებული ძაბრის საშუალებით აავსეთ მარილის კონტეინერი 1 კგ ჭურჭლის სარეცხი მანქანის მარილით.



- ფრთხილად შეანჯღრიეთ ძაბრი მისი სახელურით, ბოლო გრანულებიც რომ შიგნით მოხვდეს.
- მოაშორეთ მარილი მარილის კონტეინერის ღიობიდან.




- მარილის კონტეინერის დასახურად, შეაბრუნეთ თავსახური საათის ისრის მიმართულებით.

მნიშვნელოვანი

წყალი და მარილი შეიძლება გამოვიდეს მარილის კონტეინერიდან, როცა მას ავსებთ. კოროზიის თავიდან ასაცილებლად, შეავსეთ მარილის კონტეინერი და შემდეგ, დაუყოვნებლივ დაიწყეთ ჭურჭლის რეცხვის სრული ციკლი სარეცხი საშუალებით.

7.2 სარეცხი საშუალების გამოყენება



- თავსახურის გასახსნელად (B) დააწეეთ გაღების ღილაკი (C).
- მოათავსეთ სარეცხი საშუალება განყოფილებაში (A). შეგიძლიათ


გამოიყენოთ სარეცხი საშუალება ტაბლეტების, ფხვნილის ან გელის ფორმით.

- თუ პროგრამას აქვს წინასწარი რეცხვის ფაზა, ჭურჭლის სარეცხი მანქანის კარის შიდა ნაწილში 5 გრ.-მდე ოდენობის სარეცხი საშუალება მოათავსეთ.
- დახურეთ თავსახური. დარწმუნდით, რომ მოშვების ღილაკი პოზიციაში მყარად ზის.

ამ განყოფილებას ნუ შეავსებთ (A) 30 მლ-ზე მეტი გელის სარეცხი საშუალებით.

სარეცხი საშუალების დოზირების შესახებ ინფორმაციისათვის, პროდუქტის შეფუთვაზე იხილეთ მწარმოებლის ინსტრუქციები. ჩვეულებრივ, ნორმალური დაბინძურების მქონე ტანსაცმლის გასარეცხად საკმარისია გელისებური სარეცხი საშუალება 20 - 25 მლ ოდენობით ან ფხვნილისებური სარეცხი საშუალების 18 გრ.-მდე ოდენობით.

7.3 როგორ შევავსოთ გავლების დამხმარე საშუალების დისპენსერი



⚠ სიფრთხილე!

ეს განყოფილება (A) მხოლოდ სავლები საშუალებისთვისაა განკუთვნილი. ნუ შეავსებთ მას სარეცხი საშუალებით.

⚠ სიფრთხილე!

გამოიყენეთ მხოლოდ ისეთი სავლები საშუალება, რომელიც სპეციალურად ჭურჭლის სარეცხი მანქანებისთვისაა შექმნილი.

- თავსახურის გასახსნელად (D) დააწეეთ გაღების ღილაკი (C).

- ჩაასხით წყლის გავლების დამხმარე საშუალება მარიგებელ კოლოფში (A), სანამ სითხე მიაღწევს ავსების „მაქსიმალურ“ დონეს.
- დაღვრილი სავლები საშუალება შეწოვის უნარის მქონე ქსოვილით მოაშორეთ, რათა თავიდან აიცილოთ ზედმეტი ქაფის წარმოქმნა.
- დახურეთ თავსახური. დარწმუნდით, რომ მოშვების ღილაკი პოზიციაში მყარად ზის.


❗ გამოთავისუფლებული ოდენობის გადამრთველი შეგიძლიათ (B) 1-ელ პოზიციასა (უმცირესი ოდენობა) და მე-4 ან მე-6 პოზიციას (უდიდესი ოდენობა) შორის აბრუნოთ.

8. ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ჭურჭლის მოთავსება

- წმენდის საუკეთესო შედეგების მისაღებად დაალაგეთ ნივთები კალათებში მომხმარებლის სახელმძღვანელოში მითითებული წესით.
- წყალი და ენერჯია რომ დაზოგოთ, აავსეთ ჭურჭლის სარეცხი მანქანა ბოლომდე.
- არ გადატვირთოთ კალათა იმისთვის, რომ უზრუნველყოთ ჭურჭლის სარეცხი მანქანის ეფექტური მუშაობა.
- დარწმუნდით, რომ კალათებში არაფერი ეხება ან ფარავს ერთმანეთს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მისწვდება წყალი და გარეცხავს ჭურჭელს.
- მოწყობილობა მხოლოდ ჭურჭლის სარეცხ მანქანასთან თავსებადი საგნების გასარეცხად გამოიყენეთ.
- ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ნუ გარეცხავთ ხის, რქის, კალის, სპილენძის, ალუმინის, დელიკატური ორნამენტების მქონე ფაიფურის ან დაუცველი ნაჭირბადის ფოლადის მასალებისგან ან ვერცხლისგან დამზადებულ საგნებს. ამან შეიძლება გამოიწვიოს მათი დაზარაება, დეფორმაცია, ფერის შეცვლა, ორმოების გაჩენა, ჟანგი, დაბინძვება ან კოროზია.
- მოწყობილობაში წყლის შემწოვ საგნებს (დრუბელს, საოჯახო ქსოვილებს) ნუ გარეცხავთ.
- მოათავსეთ ჩაღრმავებული საგნები (ფინჯები, რიქები და ტაფები) ღიობით ქვემოთ, რაც წყლის დაწრეტას ემთხვევა.
- დარწმუნდით, რომ მინის ნაკეთობები ერთმანეთს არ ეხება.
- მსუბუქი ნივთები მოათავსეთ ზედა კალათში. დარწმუნდით, რომ საგნები თავისუფლად არ მოძრაობს.
- მჭრელი ინსტრუმენტები და მცირე საგნები მჭრელი ინსტრუმენტების კალათში მოათავსეთ.

- პროგრამის დაწყებამდე, დარწმუნდით, რომ სასწორებლის მკლავები თავისუფლად მოძრაობას შეძლებს.
- დიდი ჭურჭლის მოსათავსებლად, დაარეგულირეთ ზედა კალათის სიმაღლე.

8.1 როგორ დაარეგულიროთ ზედა კალათის სიმაღლე



➡ მნიშვნელოვანი

კალათი მხოლოდ ერთი მხრიდან არ აწიოთ ან არ დაწიოთ.

როგორ აწიოთ ზედა კალათი

- მოქაჩეთ კალათს მანამდე, სანამ არ გაჩერდება.
- ორივე მხრიდან თანაბრად აწიეთ კალათი, სანამ მექანიზმი არ დაფიქსირდება მის ადგილას და კალათი სტაბილურად არ დადგება.

როგორ დაწიოთ ზედა კალათი

- მოქაჩეთ კალათს მანამდე, სანამ არ გაჩერდება.


2. კალათი ორივე მხრიდან ოდნავ აწიეთ, შემდეგ დაწიეთ იგი ქვემოთ და მიეცით საშუალება ჩავარდეს.

8.2 ჭურჭლის სარეცხი მანქანის ფუნქციები

თანმხლები აქსესუარები შეიძლება განსხვავდებოდეს ჭურჭლის სარეცხი მანქანის მოდელის მიხედვით.


ქვედა კალათი

თანმხლები დასაკეცი შვერილები შეიძლება განსხვავდებოდეს ჭურჭლის სარეცხი მანქანის მოდელის მიხედვით.




ზედა კალათი

ფინჯნების დამჭერი თაროები შეიძლება დაიკეცოს მაღალი ჭურჭლისთვის ადგილის გამოთავისუფლების მიზნით.




ფინჯნის თაროებს აქვთ რბილი ხელის მოსაჭიდები მინის ჭურჭლის დასაჭერად, ხოლო რეზინის ღერძები სტაბილურობას უზრუნველყოფს.




დანა-ჩანგლების და კოვზების კალათი

მოათავსეთ დანა-ჩანგლების და კოვზების კალათი ქვედა კალათის წინა მარჯვენა კუთხეში. გამოიყენეთ უჯრა დანა-ჩანგლების, კოვზებისა და მცირე ზომის საგნებისთვის.





როგორ უნდა ამოიღოთ აქსესუარები



შეგიძლიათ დროებით ჩამოხსნათ ფინჯნების თაროები და რბილი ხელის მოსაჭიდები დიდი, მოუხერხებელი ნივთების განსათავსებლად.





ჭურჭლის მაქსიმალური სიმაღლე (მმ)





8.3 ჭურჭლის მანქანის დატვირთვის მაგალითები ქვედა კალათი



ზედა კალათი



დანა-ჩანგლების და კოვზების კალათი



- A. ჩაის კოვზი
- B. სადილის კოვზი
- C. ჩანგალი
- D. დანა
- E. სერვირების ჩანგალი
- F. სერვირების კოვზი
- G. დესერტის კოვზი
- H. ჩამჩა

9. ყოველდღიური გამოყენება

1. მოუშვით წყლის ონკანი.
2. ხანგრძლივად დააჭირეთ ჩართვის/ გამორთვის ლილავს მოწყობილობის ჩართვამდე.
3. შეავსეთ მარილის კონტეინერი თუ ინდიკატორი ჩართულია.
4. აავსეთ გავლების დამხმარე საშუალების დისპენსერი თუ ინდიკატორი ჩართულია.
5. ჩატვირთეთ კალათები.
6. შეავსეთ სარეცხი საშუალების დისპენსერი.
7. აირჩიეთ და დაიწყეთ პროგრამა.
8. დაკეტეთ ონკანი, როცა პროგრამა დასრულდება.

9.1 როგორ უნდა ჩართოთ პროგრამა

1. ხანგრძლივად დააჭირეთ ჩართვის/ გამორთვის ლილავს მოწყობილობის ჩართვამდე. დარწმუნდით, რომ კარი დაკეტილია.
2. რამდენჯერმე დააჭირეთ ლილავს **P**, სანამ სასურველი პროგრამის ინდიკატორი არ ჩაირთვება.

დისპლეიზე ნაჩვენებია პროგრამის ხანგრძლივობა.

3. სურვილის შემთხვევაში აირჩიეთ შესაბამისი ვარიანტი.
4. დააჭირეთ **▷**-ს პროგრამის დასაწყებად. პროგრამის ხანგრძლივობის ათვლა იწყება.

9.2 პროგრამის გააქტიურების ვარიანტი

ერთ ჯერზე შესაძლებელია მხოლოდ ერთი ვარიანტის გააქტიურება. გაააქტიურეთ ვარიანტი პროგრამის ჩართვამდე. პროგრამის გამკვების დროს ვარიანტის აქტივაცია ან დაქტივაცია შეუძლებელია.

1. აირჩიეთ პროგრამა.
2. რამდენჯერმე დააჭირეთ ლილავს **+**, სანამ სასურველი ვარიანტის ინდიკატორი არ ჩაირთვება. თუ ვარიანტის გამოყენება არ არის შესაძლებელი, მისი ინდიკატორები აციმციმდებიან და გაისმის სიგნალი.

ⓘ ვარიანტების ხშირად გააქტიურება ზრდის წყლისა და ენერჯის მოხმარებას და პროგრამის ხანგრძლივობას.

9.3 პროგრამის დაწყების დაყოვნების წესი

1. აირჩიეთ პროგრამა.
2. ხანგრძლივად დააჭირეთ ღილაკს ⊕ 3 წამით.
3. ხანგრძლივად ან რამდენჯერმე დააჭირეთ ⊕-ს, სანამ ეკრანზე არ გამოჩნდება დაყოვნების სასურველი დრო (1-დან 24-საათამდე).
4. უკუთვლის დასაწყებად დააჭირეთ ▷-ს.

⊕ ინდიკატორი ჩართულია. უკუთვლის დარჩენილი დრო საათებში. საბოლოო საათი წუთებშია ნაჩვენებ.

უკუთვლის დასრულებისას პროგრამა იწყება და ⊕ ინდიკატორი გამოირთვება.

9.4 მოწყობილობის მუშაობისას კარის გაღება

პროგრამის მიმდინარეობისას კარის გაღება მოწყობილობას გააჩერებს. ამან შესაძლოა ენერჯის მოხმარებასა და პროგრამის ხანგრძლივობაზე მოახდინოს გავლენა. კარის დახურვის შემდეგ, მოწყობილობა მუშაობას მისი შეწყვეტის მომენტიდან განაგრძობს.

❗ ნუ ეცდებით მოწყობილობის კარის დახურვას AirDry მისი გაღებიდან 2 წუთის განმავლობაში, რადგან ეს მოწყობილობის დაზიანებას გამოიწვევს. თუ შემდგომკარი სულ მცირე 3 წუთის განმავლობაშია დაკეტილი, მიმდინარე პროგრამა სრულდება.

9.5 როგორ გააუქმოთ პროგრამის დაყოვნებული დაწყება

როდესაც გააუქმებთ დაწყების დაყოვნებას, პროგრამის და პარამეტრების დაყენება ახლიდან მოგიწევთ.

სანამ მოწყობილობა პროგრამის არჩევის რეჟიმშია, ერთდროულად ხანგრძლივად დააჭირეთ P-სა და I-ს.

9.6 გაშვებული პროგრამის გაუქმების წესი

სანამ მოწყობილობა პროგრამის არჩევის რეჟიმშია, ერთდროულად ხანგრძლივად დააჭირეთ P-სა და I-ს.

ახალი პროგრამის დაწყებამდე დარწმუნდით, რომ სარეცხი საშუალების დისპენსერში ნამდვილად არის სარეცხი საშუალება.

9.7 პროგრამის დასასრული

პროგრამის დასრულების შემდეგ ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობა ავტომატიურად გაითიშება.

ჩართვა-გამორთვის ღილაკის გარდა, ყველა ღილაკი არააქტიურია.

9.8 ავტომატური გამორთვა

ეს ფუნქცია ზოგადას ენერჯის, რადგან თიშავს მოწყობილობას, როცა ის არ მუშაობს.

ფუნქცია ამუშავდება:

- როდესაც პროგრამა დასრულებულია.
- 5 წუთის შემდეგ, თუ პროგრამა არ ჩართოთ და არცერთ ღილაკზე დაჭერა არ მოხდა.

10. მინიშნებები და რჩევები

10.1 ზოგადი

მიჰყევით ქვემოთ მოცემულ მინიშნებებს, რომ უზრუნველყოფთ ოპტიმალური წმენდისა და შრომის შედეგები ყოველდღიური გამოყენებისას და დაიცვათ გარემო.

- მოხმარებლის სახელმძღვანელოში მოცემული მითითებების შესაბამისად ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ჭურჭლის გარეცხვა ნაკლებად წყალსა და ენერჯის მოიხმარს, ვიდრე ჭურჭლის ხელით რეცხვა.

- წყალი და ენერჯია რომ დაზოგოთ, აავსეთ ჭურჭლის სარეცხი მანქანა ბოლომდე. წმენდის საუკეთესო შედეგებისთვის დაალაგეთ ნივთები კალათებში მომხმარებლის სახელმძღვანელოში მითითებული წესით და არ გადატვირთოთ კალათები.
- არ გაავლოთ წყალი ჭურჭელს წინასწარ ხელით. ეს ზრდის წყლისა და ენერჯის მოხმარებას. საჭიროებისამებრ, აირჩიეთ პროგრამა წინასწარ რეცხვის ფაზით.

- მოაშორეთ ჭურჭელს საჭმლის შედარებით დიდი ზომის ნარჩენები და დაცალეთ ჭიკები მოწყობილობაში ჩალაგებამდე.
- დარწმუნდით, რომ კალათებში არაფერი ენება ან ფარავს ერთმანეთს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მისწვდება წყალი და გარეცხავს ჭურჭელს.
- აირჩიეთ პროგრამა დატვირთვის ტიპისა და ჭურჭლის ხარისხის მიხედვით. ECO გთავაზობთ წყლისა და ენერჯის ყველაზე ეფექტურ გამოყენებას.
- მოწყობილობის შიგნით კირქვული ნადების თავიდან ასაცილებლად:
 - ხელახლა შეავსეთ მარილის კონტეინერი საჭიროებისამებრ.
 - გამოიყენეთ სარეცხი საშუალება და გავლების დამხმარე საშუალება რეკომენდებული დოზით.
 - დარწმუნდით, რომ წყლის დამარბილებლის არსებული დონე მოწოდებული წყლის სიხისტეს შეესაბამება.
 - მიჰყევით თავში „მოვლა და დასუფთავება“ მოცემულ ინსტრუქციებზე.

10.2 მარილის, გავლების დამხმარე საშუალებისა და სარეცხი საშუალების გამოყენება

- გამოიყენეთ მხოლოდ ჭურჭლის სარეცხი საშუალებისთვის განკუთვნილი მარილი, გავლების დამხმარე საშუალება და სარეცხი საშუალება. სხვა პროდუქტებმა შეიძლება მოწყობილობა დააზიანოს.
- ხისტი და ძალიან ხისტი წყლის პირობებში წმენდისა და გამწვანების ოპტიმალური შედეგების მისაღებად გირჩევთ ცალ-ცალკე გამოიყენოთ საბაზისო ჭურჭლის სარეცხი საშუალება (ფხვნილი, გელი, ტაბლეტები, რომლებიც არ შეიცავს დამატებით აგენტებს), გავლების დამხმარე საშუალება და მარილი.
- მოკლე პროგრამების დროს მულტიტაბლეტები შესაძლოა ბოლომდე არ გაიხსნას, რამაც შეიძლება ჭურჭელზე სარეცხი საშუალების ნარჩენები გამოიწვიოს. იხილეთ პროდუქტის შეფუთვა. გამოიყენეთ ტაბლეტები უფრო ხანგრძლივი პროგრამებისთვის.
- ყოველთვის გამოიყენეთ სარეცხი საშუალების სწორი ოდენობა. არასაკმარისმა დოზამ შეიძლება გამოიწვიოს წმენდის ცუდი შედეგები,

- ნივთების ხისტი წყლის ფენით დაფარვა ან მათზე ლაქების გაჩენა. რბილ ან დარბილებულ წყალთან ზედმეტად დიდი ოდენობით სარეცხი საშუალების გამოყენების შედეგად ჭურჭელზე სარეცხი საშუალების ნარჩენები რჩება. მიჰყევით სარეცხი საშუალების შეფუთვაზე მითითებულ ინსტრუქციას.
- ყოველთვის გამოიყენეთ გავლების დამხმარე საშუალების სწორი ოდენობა. გავლების დამხმარე საშუალების არასაკმარისი დოზა ამცირებს გაშრობის შედეგებს. გავლების დამხმარე საშუალების დოზა ოდენობით გამოყენების შედეგად ნივთებზე მოლურჯო შრეები რჩება.
- დარწმუნდით, რომ წყლის დამარბილებლის დონე სწორია. თუ დონე ძალიან მაღალია, წყალი ზედმეტად დარბილდება, რამაც შეიძლება მიწის კოროზია გამოიწვიოს. წყლის დამარბილებლის დონის დასარეგულირებლად, იხილეთ თავი პარამეტრებზე.

10.3 როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ მულტი-ტაბლეტების გამოყენების შეჩერება გვსურს

სარეცხი საშუალების, მარილის და გავლების საშუალების ცალ-ცალკე გამოყენების დაწყებამდე, შეასრულეთ შემდეგი ნაბიჯები:

1. დააყენეთ წყლის დამარბილებლის უმაღლესი დონე.
2. დარწმუნდით, რომ მარილის და გავლების საშუალების კონტეინერები სავსეა.
3. უმოკლესი პროგრამა გავლების ფაზით დაიწყეთ. სარეცხ საშუალებას ნუ დაამატებთ და ჭურჭელი კალათებში მოათავსეთ.
4. როდესაც პროგრამა დასრულდება, წყლის დამარბილებელი თქვენს რაიონში მოწოდებული წყლის სიხისტის შესაბამისად დაარეგულირეთ.
5. დაარეგულირეთ გამოთავისუფლებული გავლების საშუალების ოდენობა.
6. როგორ უნდა გაააქტიუროთ გავლების საშუალების დაცარიელების შეტყობინება.

10.4 პროგრამის გაშვებამდე

შერჩეული პროგრამის გაშვებამდე დარწმუნდით, რომ:

- ფილტრები მშრალია და სწორადაა დამონტაჟებული.
- მარილის კონტეინერის სახურავი მჭიდროდაა.
- სასხურებელი მკლავები არ არის დახშული.
- საკმარისი მარილი და გამრეცხი საშუალებაა.
- კალათებში საგნები სწორადაა განლაგებული.
- პროგრამა ჩატვირთვის ტიპსა და დაბინძურების ხარისხს შეესაბამება.

- გამოყენებულია სწორი ოდენობის სარეცხი საშუალება.

10.5 კალათების დაცლა

1. აცადეთ ჭურჭელს გაგრილება, სანამ მოწყობილობამ გამოიღებთ. ცხელი ნივთები ადვილად შეიძლება დაზიანდეს.
2. პირველ რიგში, გამოიღეთ ნივთები ქვედა კალათიდან, შემდეგ კი ზედა კალათიდან.

ⓘ პროგრამის დასრულების შემდეგ, მოწყობილობის შიდა ზედაპირებზე შეიძლება წყალი დარჩეს.

11. მოვლა და დასუფთავება

მნიშვნელოვანი

ტექნიკური მომსახურების დაწყებამდე მოწყობილობა გათიშეთ და მთავარი მტკიცერი მტკიცების როზეტიდან გამოაერთეთ.

ჭუჭყიანი ფილტრები და გაჭედილი სასხურებელი ბერკეტები უარყოფით გავლენას ახდენს რეცხვის შედეგებზე.

ფილტრები დამოუკიდებლად იწმინდება და არ მოითხოვს გაწმენდას ყოველი გამოყენების შემდეგ. გაწმინდეთ ფილტრები კვირაში ერთხელ. გაწმინდეთ შესასხურებელი მკლავები ყოველ ორ თვეში ერთხელ, ან უფრო ადრე, თუ პროგრამის დასრულების შემდეგ ჭურჭელზე საკვების ნარჩებებს შეამჩნევთ. გასუფთავების სიხშირე შეიძლება განსხვავდებოდეს მოწყობილობის გამოყენების სიხშირის მიხედვით.

11.1 გარეგანი გაწმენდა

- გაწმინდეთ მოწყობილობა რბილი სველი ტილოთი.
- გამოიყენეთ მხოლოდ ნეიტრალური სარეცხი საშუალებები. დარწმუნდით, რომ მომჭერი სათანადოდ არის გასწორებული მიწოდების მილთან.
- არ გამოიყენოთ აბრაზიული მოწიფე პროდუქტები, აბრაზიული საწმენდი ბალიშები, გამხსნელები ან გამხსნელები.

11.2 შიდა წმენდა

- მოწყობილობის შიდა ნაწილი რბილი ნოტიო ტილოთი გაწმინდეთ.

- ნუ გამოიყენებთ აბრაზიულ პროდუქტებს, აბრაზიულ საწმენდ ბალიშებს, ბასრ იარაღებს, ძლიერ ქიმიურ ნივთიერებებს, ჭურჭლის სახეხ სინას ან გამხსნელებს.
- კვირაში ერთხელ გაწმინდეთ კარი, მათ შორის რეზინის შუასადები.
- მოწყობილობამ ყოველთვის ეფექტურად რომ იმუშაოს, გამოიყენეთ სპეციალურად ჭურჭლის სარეცხი მანქანებისთვის შექმნილი საწმენდი პროდუქტი ყოველ ორ თვეში მინიმუმ ერთხელ. დაკვირვებით მიჰყევით პროდუქტის შეფუთვაზე არსებულ ინსტრუქციებს.
- გასუფთავების ოპტიმალური შედეგებისთვის დაიწყეთ პროგრამა **↺**.

11.3 უცხო საგნების მოცილება

შეამოწმეთ ფილტრები და გარეცხეთ მოწყობილობის ყოველი გამოყენების შემდეგ. უცხო საგნები (მაგ.: მინის, პლასტმასის, ძვლის ან კბილის ჩხირების და ა.შ. ნაწილები) აუარესებს წმენდის წარმადობას და განაპირობებს დრენაჟის ტუმბოს დაზიანების საფრთხეს.

⚠ სიფრთხილე!


უცხო საგნების მოცილების შეუძლებლობის შემთხვევაში, მიმართეთ ავტორიზებულ სერვის ცენტრს.

1. ფილტრები დაშალეთ აღნიშნულ თავში მოცემული ინსტრუქციისამებრ.
2. ნებისმიერი უცხო საგანი მექანიკურად, ხელით მოაშორეთ.


- ფილტრები ააწყვეთ აღნიშნულ თავში მოცემული ინსტრუქციისამებრ.

11.4 ფილტრების გაწმენდა


ფილტრების სისტემა 3 ნაწილისგან შედგება.



- შეაბრუნეთ ფილტრი (B) საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით და მოხსენით.




- ამოიღეთ ფილტრი (C) ფილტრიდან (B).
- ამოიღეთ ბრტყელი ფილტრი (A).
- გარეცხეთ ფილტრები.



- დარწმუნდით, რომ საწრეტში ან მის კიდეზე არ არის დარჩენილი საკვების ან ჭუჭყის ნარჩენები.
- დააბრუნეთ უკან ბრტყელი ფილტრი (A). დარწმუნდით, რომ ის სწორად არის მოთავსებული 2 მიმართულების ქვეშ.



- ხელახლა ააწყვეთ ფილტრები (B) და (C).
- დააბრუნეთ უკან ფილტრი (B) ბრტყელ ფილტრში (A). შეაბრუნეთ საათის ისრის მიმართულებით, სანამ არ ჩაიკეტება.




⚠ სიფრთხილე!

ფილტრების არასწორმა განლაგებამ შეიძლება გამოიწვიოს რეცხვის ცუდი შედეგები და მოწყობილობის დაზიანება.

11.5 ქვედა სასხურებლის მკლავის გასუფთავება

- ქვედა სასხურებელი მკლავის მოსახსნელად, იგი ზემოთ აჰაჩეთ.



- სასხურებლის მკლავი გამდინარე წყალში გარეცხეთ. გამოიყენეთ თხელი წვეტიანი იარაღი, მაგ.: კბილის ჩხირი, რათა ხვრელებიდან დაბინძურებული ნაწილაკები მოაშოროთ. გაუშვით წყალი ნახვრეტებში, შიგნიდან ჭუჭყის ნაწილაკების გამოსარეცხად.

- 3. სასხურებელი მკლავის კვლავ დასამონტაჟებლად, დააწეკით მას ქვემო მიმართულებით.

11.6 ზედა სასხურებელი მკლავის გასუფთავება

ნუ მოხსნით ზედა სასხურებელ მკლავს. თუ სასხურებელი მკლავის ღიობები

დანშულია, ნარჩენი დაბინძურებული ნაწილაკები თხელი წამახვილებული საგნით, მაგ.: კბილის ჩხირით მოაცილეთ.

12. პრობლემის აღმოფხვრა

იმ პრობლემების უმეტესობა, რომლებიც შეიძლება შეგემთხვევთ, შეიძლება მოგვარდეს ავტორიზებულ სერვისცენტრთან დაკავშირების გარეშე. შესაძლო პრობლემების შესახებ ინფორმაციისათვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი.

ზოგიერთი პრობლემის შემთხვევაში ეკრანი აჩვენებს ხარვეზის კოდს.

მოწყობილობის შემოწმების დასრულების შემდეგ, გამორთეთ და ჩართეთ მოწყობილობა. თუ პრობლემა არ აღმოფხვრა, დაუკავშირდით ავტორიზებულ სერვის ცენტრს. გათიშეთ მოწყობილობა შტეკერიდან და არ გამოიყენოთ პრობლემის აღმოფხვრამდე.

მნიშვნელოვანი

დანურეთ წყლის ონკანი, გამორთეთ მოწყობილობა დენის წყაროდან და არ გამოიყენოთ, სანამ პრობლემა არ მოგვარდება.

მოწყობილობას ვერ გაააქტიურებთ.

- დარწმუნდით, რომ შტეფსელი შეერთებულია როზეტთან.
- დარწმუნდით, რომ მცველების ბლოკში არ არის გადამწვარი მცველი.

პროგრამა არ იწყება.

- დარწმუნდით, რომ მოწყობილობის კარი დაკეტილია.
- დააჭირეთ დაწყების ღილაკს.
- თუ დაყოვნებული გაშვებაა დაყენებული, გააუქმეთ უკუთვლა ან დაელოდეთ უკუთვლის ტაიმერის ათვლის დასრულებას.
- მოწყობილობა წყლის დამარბილებელში არსებულ პოლიმერს განაახლებს. პროცედურის ხანგრძლივობა დაახლოებით 5 წუთია.

11 ან 11 შეცდომის კოდი. მოწყობილობა წყლით სათანადოდ არ ივსება.

- დარწმუნდით, რომ წყლის ონკანი ღიაა.
- წყლის ჰავლის წნევა უნდა იყოს 0.05 (0.5) / 1 (10) მპა (ბარი) დიაპაზონში. ამ ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ადგილობრივ წყალმომარაგების სამსახურებს.
- დარწმუნდით, რომ წყლის ონკანი არ არის დახშული.
- დარწმუნდით, რომ შემავალი წყლის შლანგის ფილტრი არ არის დახშული. გაწმინდეთ ფილტრი საჭიროების შემთხვევაში. იხილეთ თავი „მოვლა და დასუფთავება“.
- დარწმუნდით, რომ შემავალი შლანგი არ არის გაღუნული ან გაწყვეტილი.

12 შეცდომის კოდი. მოწყობილობა წყალს არ ტუმბავს.

- დარწმუნდით, რომ ნიჟარის საცობი დახშული არ არის.
- დარწმუნდით, რომ შიდა ფილტრის სისტემა არ არის დახშული.
- დარწმუნდით, რომ სატუმბი შლანგი არ არის გაღუნული ან გაწყვეტილი.

13 შეცდომის კოდი. ანტი-ფლუდის აპარატი ჩართულია.

- დაკეტეთ წყლის ონკანი.
- დარწმუნდით, რომ მოწყობილობა სწორადაა დამონტაჟებული.
- დარწმუნდით, რომ კალათები მომხმარებლის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მითითებისამებრ არის ჩატვირთული.

14 | 14 შეცდომის კოდები. წყლის ტუმბოს ან დრენაჟის ტუმბოს ფუნქციონირების დარღვევა.

- დარწმუნდით, რომ ფილტრები სუფთაა.

- გამორთეთ და ხელახლა ჩართეთ დანადგარი.

15 1-159 ან 15A-15F შეცდომის კოდები. წყლის ტუმბოს ან დრენაჟის ტუმბოს ფუნქციონირების დარღვევა.

- გამორთეთ და ხელახლა ჩართეთ დანადგარი.

16 1ან 169 შეცდომის კოდები. მოწყობილობაში არსებული წყლის ტემპერატურა ზედმეტად მაღალია ან სახეზეა ტემპერატურის სენსორის ფუნქციონირების დარღვევა.

- დარწმუნდით, რომ შემავალი წყლის ტემპერატურა 60°C-ს არ აჭარბებს.
- გამორთეთ და ხელახლა ჩართეთ დანადგარი.

17 1 ან 173 შეცდომის კოდები. მოწყობილობის ტექნიკური ფუნქციონირების დარღვევა.

- გამორთეთ და ხელახლა ჩართეთ დანადგარი.

1F 1 შეცდომის კოდი. მოწყობილობაში არსებული წყლის დონე ძალიან მაღალია.

- გამორთეთ და ხელახლა ჩართეთ დანადგარი.
- დარწმუნდით, რომ ფილტრები სუფთაა.
- დარწმუნდით, რომ გამომავალი მილი იატაკიდან სწორ სიმაღლეზეა დამონტაჟებული. იხილეთ დამონტაჟების ინსტრუქცია.

მოწყობილობა მუშაობის განმავლობაში უფრო მეტჯერ ჩერდება და ირთვება.

- ეს ნორმას წარმოადგენს. იგი წმენდის რაჭიმალურ შედეგებსა და ენერჯის დაზოგვას უზრუნველყოფს.

პროგრამა ძალიან დიდხანს გრძელდება.

- თუ დაყოვნებული გაშვებაა დაყენებული, გააუქმეთ უკუთვლა ან დაელოდეთ უკუთვლის ტაიმერის ათვლის დასრულებას.
- პროგრამის გააქტიურების ვარიანტები ზრდის პროგრამის ხანგრძლივობას.

ნაჩვენები პროგრამის ხანგრძლივობა მოხმარების მნიშვნელობების ცხრილში ნაჩვენებისაგან განსხვავდება.

- პროგრამის ხანგრძლივობა შეიძლება შეიცვალოს წყლის წნევის და ტემპერატურის, ელექტროენერჯის

მიწოდების ცვალებადობის, არჩეული ოფციების, ჭურჭლის ოდენობის და დაბინძურების ხარისხს გამო.

ეკრანზე ნაჩვენები დარჩენილი დრო იზრდება და გადადით თითქმის პროგრამის ბოლომდე.

- ეს არ არის ხარვეზი. მოწყობილობა სწორად მუშაობს.

მოწყობილობის კარიდან მცირე გაჟონვა.

- მოწყობილობა არ არის ნიველირებული. მოუშვით ან მოუჭირეთ რეგულირებადი ფეხები (თუ შეესაბამება).

მოწყობილობის კარი რთულად იკეტება.

- მოწყობილობა არ არის ნიველირებული. მოუშვით ან მოუჭირეთ რეგულირებადი ფეხები (თუ შეესაბამება).
- ჭურჭლის ნაწილები კალათებიდანაა გამოშვებული.

მოწყობილობის კარი რეცხვის ციკლის მანძილზე იხსნება.

- AirDry ფუნქცია გააქტივირებულია შრობის შედეგების გასაუმჯობესებლად და ამავდროულად ენერჯის ეკონომისთვის. ფუნქციის გამოსართავად იხილეთ თავი „პარამეტრები“.

ჩხარუნის ან კაკუნის ხმები

მოწყობილობის შიგნიდან.


- ჭურჭელი კალათებში სწორედ არ არის განლაგებული. იხილეთ თავი „ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ჭურჭლის მოთავსება“.
- დარწმუნდით, რომ სასხურებელ მკლავებს თავისუფლად ბრუნვა შეუძლიათ.

მოწყობილობა ავტომატურ გამომრთველს რთავს.

- ყველა გამოყენებადი მოწყობილობის ერთდროულად უზრუნველსაყოფად ამპერაჟი საკმარისი არ არის. შეამოწმეთ ელექტრო მასრის ამპერაჟი და მრიცხველის ტევადობა ან გამორთეთ ერთ-ერთი გამოყენებადი მოწყობილობა.
- მოწყობილობის შიდა ელექტრული დაზიანება. მიმართეთ ავტორიზებულ სერვის ცენტრს.

12.1 ჭურჭლის რეცხვის და შრობის შედეგები არადამაკმაყოფილებელია

ჭურჭლის რეცხვის შედეგები არადამაკმაყოფილებელია.

- იხილეთ თავი „მინიშნებები და რჩევები“.
- გამოიყენეთ უფრო ინტენსიური რეცხვის პროგრამა.
- გაააქტიურეთ ვარიანტი , რათა გააუმჯობესოთ არჩეული პროგრამით რეცხვის შედეგები.
- გაწმინდეთ სასხურებელი ბერკეტები და ფილტრები. იხილეთ თავი „მოვლა და დასუფთავება“.
- გამომწვევი მიზეზი შესაძლოა სარეცხი საშუალების ხარისხი იყოს. სცადეთ სხვა სარეცხი საშუალება.

შრობის უხარისხო შედეგები.

- იხილეთ თავი „მინიშნებები და რჩევები“.
- ჭურჭელი დიდ ხანს იყო დატოვებული დახურულ მოწყობილობაში. კარის ავტომატური გაღების დაყენებისა და გამრობის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად, გაააქტიურეთ AirDry ფუნქცია. იხილეთ თავი „პარამეტრები“.
- გადმოიღეთ ჭურჭელი სარეცხი მანქანიდან მხოლოდ როდესაც პროგრამა დასრულდება და დისპლეიზე გამოჩნდება 0:00.
- სავლები საშუალება არ არის, ან სავლები საშუალების დოზა არასაკმარისია. შეავსეთ სავლები საშუალების დისპენსერი ან სავლები საშუალების დოზა უფრო მაღალ დონეზე დააყენეთ (თუ გამოიყენება).
- გამომწვევი მიზეზი შესაძლოა სავლები საშუალების ხარისხი იყოს. გამოიყენეთ სხვა სავლები საშუალება.
- მულტი ტაბლეტებთანაც კი, ყოველთვის გამოიყენეთ სავლები საშუალება.
- პლასტიკის საგნებს, შესაძლოა, ტილოთი გამშრალდება დასჭირდეს.
- 30min პროგრამას არ აქვს გაშრობის ფუნქცია. აირჩიეთ სხვა პროგრამა.
- წყალი წვეთავს ზედა კალათიდან და ქვედა კალათაზე. ჭურჭელი გადმოიღეთ ჯერ ქვედა კალათიდან, შემდეგ კი ზედა კალათიდან.

ჭიქებსა და ჭურჭელზე მოთეთრო ზოლები შეიმჩნევა.

- სარეცხი საშუალების ოდენობა ძალიან დიდია. შეამცირეთ რაოდენობა.

ჭიქებსა და ჭურჭელზე მოლურჯო ფენები შეიმჩნევა.

- წყლის გავლების დამხმარე საშუალების გაშვებული ოდენობა ძალიან მაღალია. დაარეგულირეთ სავლები საშუალების დოზა უფრო მცირე დონეზე.

ჭიქებსა და ჭურჭელზე ხილვადია ლაქები და წყლის გამშრალი წვეთები.

- გამომწვევი მიზეზი შესაძლოა სავლები საშუალების ხარისხი იყოს. სცადეთ სხვა სავლები საშუალება.
- იხილეთ თავი „ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ჭურჭლის მოთავსება“.

მოწყობილობის შიდა ნაწილი სველია.

- ეს არ არის მოწყობილობის დეფექტი. ტენი მოწყობილობის კედლებზე კონდენსირდება.

უჩვეულო ქაფი რეცხვისას.

- გამოიყენეთ სპეციალურად ჭურჭლის სარეცხი მანქანებისთვის განკუთვნილი სარეცხი საშუალებები.
- გამოიყენეთ სხვა მწარმოებლისგან შეძენილი სარეცხი საშუალება.
- არ გაავლოთ წყალი ჭურჭელს წინასწარ ონკანის წყალში.

ქანგის კვალი დანა-ჩანგალსა და კოვზეზე.

- რეცხვისთვის გამოყენებულ წყალში ზედმეტად დიდი ოდენობით მარილია. მარილის კონტეინერის შევსების შემდეგ ყოველთვის მოაცილეთ დაყრილი მარილი.
- ერთად მოთავსდა ქანგვალი და უქანგავი ფოლადის დანა-ჩანგალი და კოვზეები. არ განათავსოთ ასეთი ნივთები ერთმანეთთან ახლოს.

დისპენსერში პროგრამის დასრულების დროს სარეცხი საშუალების ნარჩენებია.

- წყალი ვერ რეცხავს სარეცხ საშუალებას დისპენსერიდან. დარწმუნდით, რომ სასხურებელი ბერკეტები არ არის დაბლოკილი ან გაჭედილი.
- დარწმუნდით, რომ კალათებში მოთავსებული ნივთები არ უშლის ხელს სარეცხი საშუალების მარიგებელი კოლოფის გახსნას.

სუნი მოწყობილობის შიგნით.

- იხილეთ თავი „მოვლა და დასუფთავება“.
- რეგულარულად გამოიყენეთ პროგრამა ჭურჭლის სარეცხი ტემპერატურით 65°C.

კირქვის დანალექი ჭურჭელზე, ავზსა და კარის შიდა ნაწილზე.

- ონკანის წყალი ხისტია. გამოიყენეთ მარილი და დააყენეთ წყლის დამარბილებლის აღდგენა მაშინაც კი, თუ გამოიყენება მრავალფუნქციური ტაბლეტები. იხილეთ წყლის დამარბილებლის განყოფილება თავში „პარამეტრები“.
- მარილის დონე დაბალია. თუ მარილის ინდიკატორი ჩართული შეავსეთ მარილის კონტეინერი.
- მარილის კონტეინერის თავსახური მოშვებულია. დაათვალიერეთ თავსახური.
- დაიწყეთ პროგრამა მინადულის მოსაცილებელი საშუალებით ან საწმენდი პროდუქტით, რომელიც განკუთვნილია ჭურჭლის სარეცხი მანქანებისთვის.
- თუ კირქვული დანალექი კვლავ შეინიშნება, გაასუფთავეთ

- მოწყობილობა შესაფერისი სარეცხი საშუალებებით.
- სცადეთ სხვა სარეცხი საშუალება.
 - დაუკავშირდით სარეცხი საშუალების მწარმოებელს.

მკრთალი, გაუფერულებული ან ჩამომტვრეულკიდეებიანი ჭურჭელი.

- დარწმუნდით, რომ მოწყობილობაში ირეცხება ჭურჭლის სარეცხი მანქანისთვის შესაფერისი ნივთები.
- ფრთხილად დატვირთეთ და გადმოტვირთეთ კალათი. იხილეთ თავი „ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ჭურჭლის მოთავსება“.
- დელიკატური ნივთები მოათავსეთ ზედა კალათში.
- გაააქტიურეთ ვარიანტი **YI** მინის ჭურჭლისა და დელიკატური ნივთების განსაკუთრებული მოვლისთვის.

სხვა შესაძლო მიზეზების შესახებ ინფორმაცია იხილეთ თავებში „პირველად გამოყენებამდე“, „ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ჭურჭლის მოთავსება“, „ყოველდღიური გამოყენება“, ან „მინიშნებები და რჩევები“.

13. ტექნიკური მონაცემები

ზომები	სიგანე / სიმაღლე / სიღრმე (მმ)	598 / 850 / 622
ელექტრო კავშირი ¹⁾	ძაბვა (ვ)	220 - 240
	სიხშირე (ჰც)	50
წყლის მიწოდების წნევა	მინ. / მაქს. მზა (ბარი)	0.05 (0.5) / 1 (10)
წყალმომარაგება	ცივი წყალი ან ცხელი წყალი (°C) ²⁾	მინ. 5 - მაქს. 60
წარმადობა	ადგილის პარამეტრები	13

¹⁾ სხვა მნიშვნელობები იხილეთ შეფასების ფირფიტაზე.


²⁾ თუ ცხელი წყალი ენერჯის ალტერნატიული წყაროებიდან მოდის (მაგ.: მზის პანელები) გამოიყენეთ ცხელი წყალი, რათა ენერჯის მოხმარება შეამციროთ.


13.1 EU EPREL მონაცემთა ბაზის ბმული

დანადგართან ერთად მოწოდებულ ენერჯის ეტიკეტზე არსებული QR კოდი წარმოადგენს ამ მოწყობილობის EU EPREL მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის ვებ-ბმულს. შეინახეთ ენერჯის ეტიკეტი საცნობაროდ მომხმარებლის სახელმძღვანელოსთან ერთად და

დანადგართან ერთად მოწოდებულ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად. პროდუქტის ეფექტურობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია EU EPREL მონაცემთა ბაზაში შემდეგი ბმულის [24 ქართული ენ](https://eprel.ec.europa.eu მოდელის სახელითა და პროდუქტის ნომრით, რომლის ნახვაც შეგიძლიათ მოწყობილობის ტექნიკური მონაცემების ფირფიტაზე. იხილეთ თავი „პროდუქტის აღწერა“.</p>
</div>
<div data-bbox=)

14. გარემოსდაცვითი საკითხები

საჭიროა მასალების გადამუშავება, თუ პროდუქტზე გამოსახულია სიმბოლო . გადამუშავებისთვის შესაფუთი მასალა მოათავსეთ შესაბამის კონტეინერში. დაგვეწმარეთ გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვაში ელექტრონი და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების გადამუშავებით.

